ხელშეკრულება სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ
№ GSH010301

ქ. თბილისი 1 მარტი 2019 წელი

ერთის მხრივ სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილის მისი დირექტორის მიხეილ ხმალაძის სახით და მეორეს მხრივ, სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის კახაბერ დიასამიძის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს 13-ე ბრძანების, მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. „ხელშეკრულების ჯამური ღირებულება“ – საერთო თანხა, რომლის ფარგლებშიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისთვის;

1.3. „შემსყიდველი“ („დამზღვევი”) – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ („მზღვეველი”) – პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და წევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. ავტოტრანსპორტი - შემსყიდველის/დამზღვევის კანონიერ სარგებლობაში არსებული დანართი №1-ით (ფასების ცხრილი) განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალება;

1.6. „დღე“, „კვირა“, „თვე“– ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.7. სატენდერო დოკუმენტაცია - სატენდერო განცხადებას თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.8. მოსარგებლე – პირი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

1.9. სადაზღვევო შემთხვევა – მოულოდნელი მოვლენა, რომლის დადგომის შედეგად წარმოიშობა მიმწოდებლის/მზღვეველის ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

1.10. სადაზღვევო თანხა – თანხა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება; სადაზღვევო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაზღვევის ობიექტის აღდგენით და/ან შენაცვლებით ღირებულებას; დაზღვევის ობიექტის სადაზღვევო თანხა აღნიშნული იქნება შესაბამის სადაზღვევო პოლისში, რომელზედაც გავრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები და პირობები;

1.11. სადაზღვევო ანაზღაურება – თანხა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გაიცემა მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ მოსარგებლის სახელზე;

1.12. სადაზღვევო პრემია – თანხა, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის საფასურს;

1.13. ფრანშიზა – შესაბამის სადაზღვევო პოლისში მითითებული არანაზღაურებადი მინიმუმი, რომელზეც მიმწოდებელი/მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი და რომელიც აკლდება ზარალის ოდენობას (აღნიშნულ ხელშეკრულებაში ფრანშიზის ოდენობა განისაზღვრება 0%-ით);

1.14. სადაზღვევო პერიოდი (დაზღვევის მოქმედების ვადა) – კონკრეტულ სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია და რომლის დროსაც დამდგარი შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას;

1.15. სადაზღვევო პოლისი – წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;

1.16. დაზღვევის განაცხადი – მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით შემსყიდველის/დამზღვევის მიერ შესავსები კითხვარი, რომელშიც აისახება დაზღვევის განხორციელებისათვის აუცილებლი მიმწოდებლისათვის/მზღვეველისათვის საინტერესო გარემოებები.

1.17. უფლებამოსილი მძღოლი – ავტოტრანსპორტზე უფლებამოსილ მძღოლად ჩაითვლება შემსყიდველის/დამზღვევის ნებისმიერი თანამშრომელი, რომლის ასაკი არის 21 წელი ან მეტი და რომელსაც გააჩნია შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა;
1.18. ავტოტრანსპორტის სრული დაზიანება (განადგურება) – ავტოტრანსპორტის დაზიანება 70%-ით ან მეტით ანავტოტრანსპორტის ქურდობით გამოწვეული ზარალი. ავტოტრანსპორტის სრულ დაზიანებად ჩაითვლება ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება დანართი №1-ში (ფასების ცხრილი) მითითებული ავტოტრანსპორტის ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს ან განადგურებულია ავტოტრანსპორტის 70% ან მეტი, ან აღნიშნულს უთანაბრდება ავტოტრანსპორტის ქურდობით გამოწვეული ზარალი;
1.19. გამომუშავებული სადაზღვევო პრემია – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;
1.20. გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის/დამზღვევის კანონიერ სარგებლობაში არსებული დანართი №1-ით (ფასების ცხრილი) განსაზღვრული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო მომსახურება (შემდგომში - მომსახურება)
2.2. ხელშეკრულების საგნის კლასიფიკატორის კოდი: CPV 66514110.
2.3. მომსახურების განხორციელების არეალი: საქართველოს ტერიტორია;
2.4. მომსახურების ჩამონათვალი, მახასიათებლები, პირობები, ვადები და ღირებულება მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1 და №2-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **2013.61 (ორიათასცამეტი ლარი და სამოცდაერთი თეთრი)** ლარს და მოიცავს მიმწოდებლის/მზღვეველის ყველა ხარჯს დაკავშირებულს მომსახურების შემსყიდველისათვის/დამზღვევისათვის მიწოდებასთან, მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მოსაკრებელსა და სახდელს (დღგ-ს გარდა).

4. ანგარიშსწორება

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ წარმოდგენილი ინვოისისა და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;
4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და ინვოისის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.4. თუ მომსახურების მიწოდება განხორციელდება არასრულ თვეზე, მაშინ ასანაზღაურებელი თანხა დაანგარიშდება მომსახურებაგაწეულ დღეთა პროპორციულად.
4.5. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის შესაბამის ანგარიშზე ჯარიმის თანხის გადახდის შემდეგ.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის/დამზღვევის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
5.2. კონტროლი განხორციელდება შემდეგი ფორმებით:
5.2.1. ხელშეკრულების პირობებთან გაწეული მომსახურების ხარისხისა და რაოდენობის (მოცულობის) შესაბამისობის შემოწმება;
5.2.2. მომსახურების გაწევის შეთანხმებული ვადების და რაოდენობის (მოცულობის) დაცვის მონიტორინგი;
5.2.3. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კონტროლისა და ინსპექტირების ნებისმიერი მეთოდით.

5.3. კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, განხორციელებული მომსახურების მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

5.4. კონტროლის განხორციელებისას ინსპექტირების ჯგუფი საჭიროების შემთხვევაში აწარმოებს და შეინახავსწინამდებარე ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველ პერიოდული დოკუმენტაციას.
5.5. ყოველი გამოვლენილი დეფექტის და/ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს/მზღვეველს.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. მიმწოდებელი/მზღვეველი ვალდებულია:
6.1.1. განხორციელებული დაზღვევის დასადასტურებლად გადასცეს შემსყიდველს/დამზღვევს შესაბამისი დაზღვევის პოლისი, ამასთან, დაზღვევის განსახორციელებლად უზრუნველყოს შემსყიდველი/დამზღვევი შესაბამისი განაცხადის ფორმით;
6.1.2. მიიღოს შემსყიდველის/დამზღვევის განცხადება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ განხილვისთვის;
6.1.3. შეადგინოს სადაზღვევო აქტი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ და განსაზღვროს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა;
6.1.4. მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და წესით ანაზღაურებისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღების საფუძველზე შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან დანართი №2-ით (ტექნიკური დავალება და პირობები) განსაზღვრულ ვადებში.
6.1.5. განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და კანონმდებლობის მოთხოვნები.
6.2. მიმწოდებელი/მზღვეველი უფლებამოსილია:
6.2.1. გააკონტროლოს შემსყიდველის/დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისის პირობებისა და მოთხოვნების შესრულება;
6.2.2. შეწყვიტოს სადაზღვევო პოლისის მოქმედება და შესთავაზოს დამზღვევს, ახალი სადაზღვევო პოლისის დადება შეცვლილი სახით იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის პირობები;
6.2.3. ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) მოქმედება და წერილობით შეატყობინოს შემსყიდველს/დამზღვევს აღნიშნულის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ შემსყიდველის/დამზღვევის მიერ განაცხადში მითითებული მონაცემები და გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს ან ყალბია.
6.2.4. გაგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში დაზღვევისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით;
6.2.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოითხოვოს შემსყიდველისაგან/დამზღვევისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელსაც მიმწოდებელი/მზღვეველი მიიჩნევს საჭიროდ სადაზღვევო შემთხვევის ობიექტურად შეფასებისათვის;
6.2.6. მოახდინოს შემსყიდველის/დამზღვევის დაზიანებული ავტომანქანის დათვალიერება და ფოტოგადაღებები, ასევე, მონაწილეობა მიიღოს მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების დათვალიერებასა და ფოტოგადაღებებში;
6.2.7. შეადგინოს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების (ასევე, მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების) შეკეთების/აღდგენითი ღირებულების კალკულაცია (ხარჯთაღრიცხვა);
6.2.8. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს შემსყიდველის/დამზღვევის მიმართ მესამე პირის მოთხოვნის (სარჩელის) დასაბუთებულობა, სიდიდე და მისი არსებობის საფუძვლიანობა;
6.2.9. მოითხოვოს დამზღვევისგან, რათა ამ უკანასკნელმა გადასცეს მიმწოდებელს/მზღვეველს საკუთრების უფლება სადაზღვევო შემთხვევის გამო მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ შეცვლილ ავტოტრანსპორტის ნაწილებზე, დაზღვეული ავტომანქანის განადგურების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას – განადგურებულ ავტომანქანაზე, ხოლო გატაცების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას დაკარგული ავტომანქანის პოვნის შემთხვევაში – ნაპოვნ სატრანსპორტო საშუალებაზე. შესაბამისად, შემსყიდველი/დამზღვევი იღებს ვალდებულებას შეასრულოს ყველა ის ქმედება, რომელიც აუცილებელი და გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული მიზნის მისაღწევად. ამასთან, ხსენებული უფლების რეალიზაცია მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ შეიძლება განხორციელდეს ავტოტრანსპორტზე საკუთრების უფლების გადმოსვლით ან შემსყიდველის/დამზღვევის მიერ ავტოტრანსპორტის რეალიზაციის შემთხვევაში, ფულადი ფორმით თანხის მიღების გზით, ამასთან, ავტოტრანსპორტის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს შემსყიდველი/დამზღვევი წინასაწრ ათანხმებს მზღვეველთან. შემსყიდველის/დამზღვევის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა

ათავისუფლებს მიმწოდებელს/მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მიმწოდებელს/მზღვეველს ანიჭებს გაცემული თანხის უკან მოთხოვნის უფლებამოსილებას;

6.2.10. არ აანაზღაუროს ზარალი შემსყიდველის/დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

6.2.11. არ აანაზღაუროს წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა;

6.2.12. თუ სადაზღვევო ანაზღაურების მომენტისათვის შემსყიდველს/დამზღვევს ერიცხება დავალიანება, ანაზღაურების თანხიდან გამოვქვითოს შესაბამისი დავალიანების თანხა;

6.2.13. შემსყიდველთან დამატებითი შეთანხმების გარეშე, შესაბამისი დაწესებულებებიდან ან სხვა მესამე პირებისგან მიიღოს დამდგარ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაცია საგზაო მოძრაობის და საგზაო–საპტრანსპორტო შემთხვევების სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევის შესახებ; ასევე, გამოითხოვოს ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულებიდან სადაზღვევო ანაზღაურების გასაცემად საჭირო სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაცია.

6.3. შემსყიდველი/დამზღვევი ვალდებულია:

6.3.1. განუხრელად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი პირობები და ნაკისრი მოვალეობები;

6.3.2. უზრუნველყოს მიმწოდებელი/მზღვეველი სადაზღვევო ხელშეკრულების დასადებად აუცილებელი ინფორმაციით;

6.3.3. დროულად და სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია;

6.3.4. წინამდებარე ხელშეკრულების დასადებად და კონკრეტული დაზღვევის განსახორციელებლად წარმოდგენილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში (მაგ., ავტოტრანსპორტის გასხვისება, სადაზღვევო რისკის ხარისხის გაზრდა, უფლებამოსილი მძღოლის შეცვლა-დამატება) შეატყობინოს ამის შესახებ მიმწოდებელს/მზღვეველს წერილობითი ფორმით დაუყონებლივ, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა, ასეთი ცვლილების წარმოშობის შეტყობის მომენტიდან;

6.3.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაციას ზიანის შესახებ (ზიანის დადგომის ადგილი და დრო, საკონტაქტო მონაცემები და სხვა მისთვის ცნობილი ინფორმაცია) მიმწოდებლის/მზღვეველის 24 საათიან საინფორმაციო სამსახურს სადაზღვევო პოლისში მითითებულ ნომერზე, ხოლო 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი ფორმით გაუგზავნოს შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

6.3.6. მიიღოს ობიექტურად შესაძლო ყველა ზომა დაზღვევის საგნის გადასარჩენად და ზიანის მოცულობის მაქსიმალურად შესამცირებლად;

6.3.7. მიმწოდებლის/მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ობიექტური შესაძლებლობისა და მოქალაქეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში;

6.3.8. გაუწიოს მიმწოდებელს/მზღვეველს სათანადო დახმარება, ხელი შეუწყოს, მიიღოს მონაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მისი დადგომის გარემოებების, შედეგებისა და მიყენებული ზიანის სიდიდის სრულ და ობიექტურ გამოკვლევაში, დადგენასა და შეფასებაში და არ იმოქმედოს მიმწოდებლის/მზღვეველის ინტერესების საწინააღმდეგოდ;

6.3.9. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მიმწოდებელს/მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ;

6.3.10. დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს/მზღვეველს ავტოსატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი სარჩელის თაობაზე და იურიდიულ პროცედურებზე, აგრეთვე, გაცხადებულ ნებისმიერ პრეტენზიაზე;

6.3.11. ყველა ღონე იხმაროს დაზღვეული ავტოტრანსპორტის უსაფრთხოების დასაცავად;

6.3.12. მიანიჭოს სრული თავისუფლება მზღვეველს, რათა ამ უკანასკნელს მიეცეს საშუალება სურვილისამებრ ნებისმიერ დროს შეამოწმოს დაზღვეული ავტოტრანსპორტის მდგომარეობა;

6.3.13. ზედმიწევნით დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დებულების მოთხოვნა და მიაწოდოს მიმწოდებელს/მზღვეველს ყველა საჭირო და შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს;

6.3.14. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყონებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს;

6.4. შემსყიდველი/დამზღვევი უფლებამოსილია:

6.4.1. განხორციელებული დაზღვევის დასტურად მოითხოვოს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;

6.4.2. სადაზღვევო შემთხვევის დადასტურებისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურების მიღება წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესითა და ოდენობით.

7. ხარისხი

7.1. გაწეული მომსახურების ხარისხი ერთდროულად უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების, ამავე ხელშეკრულების დანართებისა და საქართველოში მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებს.

8. უფლებების გადაცემა

8.1. დაუშვებელია მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირისთვის გადაცემა შემსყიდველის/დამზღვევის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომლის გამოც ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში (არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა), უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის/დამზღვევისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ორმხრივად ხელმოწერილი წერილობითი დოკუმენტის შედგენით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10.6. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანის დოკუმენტს ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

11.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

11.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

11.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

12.1.1. ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

12.1.2. ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად, თუ მეორე მხარე არ/ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც ამ მეორე მხარეს წერილობით მიეცა გაფრთხილება და ამ დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით (აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება დანართი №2-ის (ტექნიკური დავალება და პირობები) მე-4 პუნქტით განსაზღვრულ პრემიის გადახდის ორკვირიან დამატებით ვადაზე). ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან

ვალდებულების არ ან არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს:

12.2.1. იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა ან/და მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად გამოიყენება (ამ მოთხოვნის არსებობის პერიოდში);

12.2.2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან (ზიანის არსებობის შემთხვევაში).

12.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს/მზღვეველს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.

13.2. „ფორს-მაჟორის“ ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომელიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება, ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია და სხვა მსგავსი გარემოებანი.

13.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებადობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.

13.4. ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.

13.5. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.

14.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. შეტყობინება

15.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15.2. შემსყიდველის/დამზღვევის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა მიმწოდებლის/მზღვეველის ყოფილ მისამართზე, რომელიც მიმწოდებელმა/მზღვეველმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს/დამზღვევს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.

16. სუბროგაციის უფლება

16.1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ მზღვეველზე გადადის სუბროგაციული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც დამზღვევს/მოსარგებლეს გააჩნია ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.

16.2. დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია ხელი შეუწყოს და გადასცეს მზღვეველს ყველა მასთან არსებული დოკუმენტი ანდა მის ხელთ არსებული ინფორმაცია და ხელი არ შეუშალოს მზღვეველს ამ მუხლით განსაზღვრული უფლების რეალიზებაში.

16.3. დამზღვევის/მოსარგებლის მიერ წინამდებარე მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული თანხის უკან დაბრუნება.

17. სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულება ძალაში 2019 წლის 01 მარტიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით.

17.2. ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

17.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

18. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16
საიდ. კოდი: 205297935
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში №707217057

მიმწოდებელი:
სს „სადაზღვევო კომპანია ალფა "
მის.: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №16
საიდ. კოდი: 204568896
ბანკი: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგარიშის ნომერი: GE33VT7588888888888888

დირექტორი
მიხეილ ხმალაძე

გენერალური დირექტორი
კახაბერ დიასამიძე

დანართი №1

#	მოდელი	მარკა	გამოშვების წელი	VIN კოდი	სახელმწიფო ნომერი	საბაზრო ღირებულება	ერთი დღის სადაზღვევო პრემია	სადაზღვევო პრემია მარტი	სადაზღვევო პრემია აპრილი	სულ სადაზღვევო პრემია	მომსახურების გაწევის ვადა
1	Toyota	Land Cruiser Prado 120	2008	JTEBY25J000070267	FZ-012-ZF	35,000	6.59	204.29	197.7	401.99	2019 წლის 1 მარტიდან სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისა და გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენამდე, მაგრამ არაუმეტეს 2 თვისა
2	Kia	Optima	2011	KNAGN412BB5175930	NXN-084	15,000	3.44	106.64	103.2	209.84	
3	Kia	Cerato	2011	KNABE511ACT085013	BVB-441	12,000	2.97	92.07	89.1	181.17	
4	Kia	picanto	2013	KNABE512AET665853	TQ-747-TQ	11,500	2.89	89.59	86.7	176.29	
5	MITSUBISHI	I-MiEV	2010	JMBLDHA3WBU001136	KTK 801	14,500	3.36	104.16	100.8	204.96	
6	MITSUBISHI	I-MiEV	2010	JMBLDHA3WBU001568	KTK 802	14,500	3.36	104.16	100.8	204.96	
7	MITSUBISHI	I-MiEV	2010	JMBLDHA3WBU001182	KTK 803	14,500	3.36	104.16	100.8	204.96	
8	MITSUBISHI	I-MiEV	2011	JMBLDHA2WBU001641	KTK 804	15,500	3.52	109.12	105.6	214.72	
9	MITSUBISHI	I-MiEV	2011	JMBLDHA2WBU001601	KTK 805	15,500	3.52	109.12	105.6	214.72	
ჯამური ღირებულება										**2013.61**	

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16
საიდ. კოდი: 205297935
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში №707217057

მიმწოდებელი:
სს „სადაზღვევო კომპანია ალფა "
მის.: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №16
საიდ. კოდი: 204568896
ბანკი: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგარიშის ნომერი: GE33VT7588888888888888

დირექტორი
მიხეილ ხმალაძე

გენერალური დირექტორი
კახაბერ დიასამიძე

1. ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევა უნდა ფარავდეს შემდეგ რისკებს:

1.1. ავტომანქანის ნაწილობრივ, სრული დაზიანება ან განადგურება, რომელიც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევით (მათ შორის: ევაკუატორის მომსახურება, საჯარიმო სადგომის ხარჯი, სატრანსპორტო საშუალების საჯარიმო სადგომიდან გამოყვანის ხარჯები, სადაზღვევო თანხის ფარგლებში), ხანძრით ან აფეთქებით, თვითაალებით, მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, ვანდალიზმით, რაიმე საგნის დაცემით, სტიქიური უბედურებებით სეტყვის, წყალდიდობის, მეხის დაცემის ჩათვლით, უბედური შემთხვევებით (მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც დაზიანება გამოიწვია გარეშე და აშკარა მიზეზებით).

1.2. ავტომობილის გატაცება, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;

1.3. დამატებითი აღჭურვილობის, მინების, სარკეების, აქსესუარებისა თუ სხვა დეტალების დაზიანება ან/და ქურდობა;

1.4. უფლებამოსილი მძღოლების (შემსყიდველი ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კატეგორის მართვის მოწმობა) და მისი მგზავრების დაზღვევა უბედური შემთხვევისაგან.

1.4.1. ლიმიტი ერთ ავტომობილზე - 20000 ლარი;

1.4.2. ლიმიტი ერთ ადამიანზე - 5000 ლარი.

1.5. მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა - 50000 ლარიანი ლიმიტით. მზღვეველის მიერ ანაზღაურდება დამზღვევის მიერ მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან/და ქონებისათვის სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანი;

1.6. ყველა შემთხვევაზე ფრანშიზა - 0%.

1.7. ავტოტრანსპორტის სრულ დაზიანებად (განადგურება) ჩაითვლება ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება მისი ნარჩენი საბალანსო ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს ან განადგურებულია (მათ შორის ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი) ავტომანქანის 70% ან მეტი;

1.8. ავტოტრანსპორტის განადგურების (70%-ით ან მეტით დაზიანება) ან გატაცების შემთხვევაში, მიმწოდებელი/მზღვეველი, შემსყიდველის/დამზღვევის არჩევანის შესაბამისად, სადაზღვევო აუნაზღაურებას განახორციელებს შემდეგი წესით:

1.8.1. მიმწოდებელი/მზღვეველი გადაიხდის თანხას არაუმეტეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის დანართი №1-ით (ფასების ცხრილი) განსაზღვრული ავტოტრანსპორტის ღირებულებისა, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და წესით ანაზღაურებისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღების საფუძველზე შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, ან:

1.8.2. მიმწოდებელი/მზღვეველი შემსყიდველის/დამზღვევის სასარგებლოდ შეიძენს განაცხადში მითითებული მარკის, მოდელისა და მახასიათებლების შესაბამის ავტოტრანსპორტს, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და წესით ანაზღაურებისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღების საფუძველზე შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 45 კალენდარული დღის ვადაში.

1.9. ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში სერვის ცენტრ(ებ)ის არჩევა უნდა განხორციელდეს ურთიერთშეთანხმებით.

1.10. დაზღვევის მოქმედების არეალი: საქართველო.

2. ზიანის ოდენობის განსაზღვრა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა:

2.1. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზიანების ან/და დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მესამე პირებისათვის ზიანის მიყენებისთანავე, შესაბამისი შეტყობინების განხორციელების მიზნით დაზიანებული ავტო-სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ან დამზღვევის უფლებამოსილი სხვა პირი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე უკავშირდება შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს (112) და სადაზღვევო კომპანიის 24 საათიან საინფორმაციო სამსახურს.

2.2. კომპანიის საინფორმაციო სამსახურთან დაკავშირების შემდეგ შემთხვევის ადგილზე გადის ზარალების რეგულირების ექსპერტი ან მენეჯერი. თუ კი კომპანიის წარმომადგენლის გამოცხადება შემთხვევის ადგილზე გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელია ან გამოცხადებისათვის საჭიროა 2 საათი ან მეტი, მაშინ დამზღვევი უფლებამოსილია არ დაელოდოს კომპანიის წარმომადგენლის გამოცხადებას და გადაიყვანოს დაზღვეული დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალება შემთხვევის ადგილიდან (მხოლოდ მას შემდეგ საპატრულო პოლიცია მოახდენს აქტის შედგენას), თუმცა მასზე რჩება ვალდებულება უზრუნველყოს დაზიანებული ქონების შენარჩუნება ისეთ მდგომარეობაში, რომ თავიდან აცილებულ იქნას ზიანის ოდენობის შემდგომი ზრდა.

2.3. ყველა საჭირო დოკუმენტის მიღებიდან და ზარალის დაანგარიშებიდან (ხარჯთაღრიცხვა) და სადაზღვევო შემთხვევის აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა უნდა მოხდეს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა;

2.4. მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევის ანაზღაურებასას იმ შემთხვევაში, თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალდება რამდენიმე მესამე პირი, ხოლო დაზღვეულზე დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობა გადააჭარბებს პოლისში მითითებულ ანაზღაურების ლიმიტს, ანაზღაურება ყოველი

მხარის მიმართ მოხდება პროპორციულად (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში) მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის ჯამური ლიმიტის ფარგლებში.
2.5. მზღვეველი ვალდებულია მოიძიოს ყველა აუცილებელი ცნობები/დოკუმენტები სახელმწიფო ორგანოებიდან ან ნებისმიერი სხვა უწყებებიდან დამდგარ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით.

3. სადაზღვევო შემთხვევად არ ითვლება და ანაზღაურებას არ ექვემდებარება დანაკარგი, დაზიანება ან პასუხისმგებლობა თუ:
3.1. დამზღვევი არღვევს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებს;
3.2. ადგილი აქვს გატაცებას ან ფიზიკურ დაზიანებას, რომელიც გამოწვეულია მესამე პირის მიერ დაზღვეული ავტომანქანის ხელში ჩაგდებით უფლებამოსილი მძღოლის მოტყუებით/თაღლითობით;
3.3. ადგილი აქვს ხარჯებს, გამოწვეულს ავტომანქანის დაზღვევამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ჩასატარებელი სამუშაოებით;
3.4. ადგილი აქვს ხარჯებს, გამოწვეულს საკეტების გამოცვლით, თუ გასაღებები მოპარულია ან დაკარგულია;
3.5. ადგილი აქვს დაზღვეულ ავტომანქანაში არსებული ნივთების, მათ შორის აუდიო აპარატურის, კასეტების, კომპაქტ დისკების, ტელეფონების, ტელე და რადიო აპარატურის, ფულის, დოკუმენტების და ა.შ. დაკარგვა/დაზიანებას;
3.6. ადგილი აქვს კონფისკაციას, დაპატიმრებას, დაკავებას ან სახელმწიფო ორგანოების დავალების შედეგად გამოწვეულ ზარალს.
3.7. დაზღვეულ ავტომანქანას მართავდა პირი, რომელიც იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ.
3.8. ავტომანქანას მართავს არაუფლებამოსილი მძღოლი (უფლებამოსილი მძღოლი არის დამზღვევის ყველა თანამშრომელი, რომელსაც აქვს შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა);
3.9. ადგილი აქვს სიჩქარის გადაჭარბებას (როდესაც სიჩქარე აღემატება დასაშვებს +30კმ/სთ); წითელზე გავლას;
3.10. ადგილი აქვს ხარჯებს, გამოწვეულს ცვეთით, კოროზიით, დაჟანგვით, თანდაყოლილი დეფექტებით, შეუსაბამო დიზაინით, დეფექტური მასალების გამოყენებით და სხვა ბუნებრივ თვისებებით.
3.11. ადგილი აქვს დაზღვეული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო შეკეთების ხარჯებს;
3.12. ადგილი აქვს უშუალოდ დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბურავებზე მიყენებულ დაზიანებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბურავების ასეთი დაზიანება, შედეგად მოყვა დაზღვეულ რისკებს და ასეთი შემთხვევის შედეგად, გარდა საბურავებისა, ავტოტრანსპორტის სხვა ნაწილებიც დაზიანებულია, ხოლო დამზღვევი (მოსარგებლე) უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ავტომანქანის ნაწილობრივი ან სრული განადგურების რისკზე;
3.13. ადგილი აქვს უბედურ შემთხვევას, დანაკარგს ან დაზიანებას, რომლის ხდომილების დროს დაზღვეული ავტოტრანსპორტი იმყოფებოდა დაზიანებულ, მართვისათვის გამოუდეგარ მდგომარეობაში;
3.14. ადგილი აქვს შემთხვევას, რომელიც შედეგად მოჰყვა გასაღების ავტომობილში დატოვებას, გასაღების არაუფლებამოსილი მძღოლისთვის გადაცემას, მათ შორის გასაღების ნებისმიერი დაცვის, პარკირების ან სხვა მსგავსი სამსახურებისთვის გადაცემას; შუშების ჩაწეულ მდგომარეობაში ან კარების ღიად დატოვებას;
3.15. გაჩერებული დაზღვეული ავტოტრანსპორტი დაზიანებულია/განადგურებულია დაუდგენელი პირის/ების მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში, არ მოხდა მზღვეველთან და საპატრულო პოლიციასთან დაუყონებლივი დაკავშირება და ადგილი აქვს მზღვეველის წარმომადგენლის ადგილზე მისვლამდე ავტოტრანსპორტის ადგილიდან დაძვრას;
3.16. სადაზღვევო შემთხვევა დადგა დადგენილი პარკირების წესების დარღვევის გამო შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ დაზღვეული ავტომანქანის საჯარიმოზე გადაყვანის/გადაადგილების დროს, ასევე საჯარიმო სადგომზე გადაყვანისას;
3.17. ხდება დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირება ტვირთის სახით საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო ან სხვა სახის ტრანსპორტით, მათ შორის ლაფეტით (ევაკუატორი) გადაზიდვა ან ბუქსირით გადაადგილება;
3.18. მზღვეველთან შეუთანხმებლად ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენება სასწავლო, სასპორტო ან სპეციალური დანიშნულებით (სასწრაფო დახმარება, ტაქსი, გაქირავება);
3.19. დაზღვეულ ავტომანქანაში მგზავრთა რაოდენობა აღემატება დასაშვებს;
3.20. დაზღვეული ავტომანქანა გადატვირთულია;
3.21. დაზღვეული ავტომანქანის გამოყენება ხდება აეროპორტის ან საფრენი მოედნის აკრძალულ უბნებში;
3.22. ადგილი აქვს ომს, დაპყრობას, საომარი მოქმედებებს, სამოქალაქო ომს, აჯანყებას, რევოლუციას, სახელმწიფო გადატრიალებას, ტერორიზმს და საზოგადოებრივი არეულობებს;
3.23. დამზღვევი (დაზღვეული) დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენით სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან შეუთანხმებლად;
3.24. ადგილი აქვს გარემოს დაბინძურებას;

3.25. ადგილი აქვს დამზღვევის ან მძღოლის განზრახი ქმედებას, რომელიც მიმართულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისაკენ: თვითმკვლელობით, თვითმკვლელობის მცდელობით და საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით;
3.26. შემთხვევა დაკავშირებულია დამზღვევის ან მძღოლის ფსიქიკურ ან მძიმე ნერვულ აშლილობასთან, თუ შესაბამისი დიაგნოზი დადგენილია სამედიცინო დაწესებულების მიერ უფლებამოსილი მძღოლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების დადებამდე.

4. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16
საიდ. კოდი: 205297935
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში №707217057

მიმწოდებელი:
სს „სადაზღვევო კომპანია ალფა "
მის.: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №16
საიდ. კოდი: 204568896
ბანკი: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგარიშის ნომერი: GE33VT7588888888888888

დირექტორი
მიხეილ ხმალაძე

გენერალური დირექტორი
კახაბერ დიასამიძე